ტექსტის ავტორი მარიამ ნაიემი
მთარგმნელი თამთა გუგუშვილი
ილუსტრატორები
იულია ვუსი და ივან კიპიბიდა
უკრაინა
გმირი ერის მოკლე ისტორია
გამომცემლობა

რა არის გენოციდი?
გენოციდი — ეს არის მიზანმიმართული ქმედებები ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის ნაწილობრივ ან სრულად გასანადგურებლად. უკრაინის ისტორიაში გენოციდის მაგალითი 1932-1933 წლების დიდი შიმშილობა, ჰოლოდომორია.
პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების მიუხედავად, 1920-იან წლებში უკრაინის ეკონომიკის მთავარი გამწევი ძალა კვლავ სოფლის მეურნეობა იყო.
გიწვევთ ნათელ კომუნიზმში
უკრაინელ გლეხებს დიდად არ სჯეროდათ კომუნისტური იდეების, ეს კი პარტიის ხელმძღვანელობას აშფოთებდა. პარტიას ქვეყნის ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევის ამბიციური გეგმები ჰქონდა.
თუმცა ამ გეგმებს კაპიტალიზმისგან მტრის ხატის შექმნის იდეა უფრო ამოძრავებდა, რადგან კაპიტალიზმი თავად სსრკ-ს არსებობას უქმნიდა საფრთხეს.

გეგმის მეორე საკვანძო ნაწილი იყო კოლექტივიზაცია, რაც ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების იძულებით გაერთიანებას და და მსხვილ მეურნეობებად - კოლმეურნეობებად - გადაკეთებას გულისხმობდა.
კოლექტივიზაციის ძირითადი მიზანი სახელმწიფოს მიერ მარცვლეულის წარმოების გაზრდა და გლეხების მიერ ხორბლის დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობის შემცირება იყო.
ეს ამბიციური გეგმა რომ შესრულებულიყო, გლეხებს მარცვლეული საბაზრო ფასზე ხუთჯერ უფრო იაფად, იძულებით უნდა ჩაებარებინათ.
ამ სტრატეგიის მიზანი იყო მარცვლეულის ექსპორტის გაზრდა და მეტი სახსრების მიღება ინდუსტრიალიზაციის დასაფინანსებლად.
საზღვარგარეთ გასატანად
გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ ამ პოლიტიკას, რადგან შემოთავაზებული ფასები მათი ყოფა-ცხოვრების მინიმალურ დონესაც კი ვერ უზრუნველყოფდა. ეს დაპირისპირება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა პარტიული გეგმის განხორციელებას.
ხორბალი
ხორბალი
ხორბალი
ამიტომაც, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ნებისმიერი საშუალება გამოეყენებინა, ოღონდაც გლეხები იძულებით “დათანხმებოდნენ” შემოთავაზებულ გეგმას.

პარტიამ იძულებით დათანხმება „კულაკების, როგორც კლასის, განადგურების“ პროცესის დაწყებით გადაწყვიტა.
როგორ აღწერდა პარტია კულაკებს?
ლიკვიდაცია
პროპაგანდა კულაკებს მდიდარ და სხვათა ექსპლუატატორ გლეხებად წარმოაჩენდა. მათ ხშირად ახასიათებდნენ როგორც ხარბებს, რითაც ხალხის თვალში მტრის ხატს ქმნიდნენ.
არსებობდნენ თუ არა «კულაკები» მართლა?
კულაკის ხატი დიდწილად გადაჭარბებული და დემონიზებული იყო. განკულაკების მსხვერპლნი ხშირად ხდებოდნენ ჩვეულებრივი გლეხები, რომელთაც უსაფუძვლოდ არქმევდნენ „კულაკებს“, მათი რეალური ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად.
კულაკების «გამოვლენის» პროცესი, რომელიც ფაქტობრივად ბრალდებისა და რეპრესიების მექანიზმს წარმოადგენდა, ხორციელდებოდა სპეციალური კომისიის მიერ. მის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა უშიშროების ორგანოების წარმომადგენელი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და პარტიის მდივანი.
კოლმეურნეობაში
ადგილი არაა
რა შეიძლებოდა მომხდარიყო უარის თქმისა და წინააღმდეგობის შემთხვევაში? გლეხებს აპატიმრებდნენ და გადასასახლებას ან დახვრეტას უსჯიდნენ. ქონებას – მარცვლეულს, ინვენტარს, მიწასა და პირუტყვს - ართმევდნენ და ყიდდნენ.



1929-1930 წ.

ის ზამთარი განკულაკების ყველაზე აქტიური ფაზა იყო, რაც ადამიანების ყაზახეთსა და ციმბირში მასობრივ დეპორტაციას ნიშნავდა.

1930 წელს საბჭოთა რეჟიმმა თავის მიერ "კულაკად" შერაცხული დაახლოებით 300 ათასი უკრაინელი გადაასახლა.

დეპორტაციის პირობები არაადამიანური იყო. ხალხი ისე გადაჰყავდათ, რომ საკმარისი საკვებითა და აუცილებელი დახმარებით არ უზრუნველყოფდნენ. ასეთმა სასტიკმა გარემოებებმა დაავადებების აფეთქება, შიმშილი და მრავალრიცხოვანი სიკვდილიანობა გამოიწვია.

სტალინი მიზნად ისახავდა
გლეხობის სრულად
შეცვლას კონტროლირებად
კოლმეურნეობებად.
კოლმეურნეობა
პარტიის ფუნქციონერები გლეხებს, დასჯის
მუქარით, კოლმეურნეობების შექმნას აიძულებდნენ.
კოლმეურნეობა
გლეხები არჩევანის წინაშე არჩევანის გარეშე აღმოჩნდნენ – ან უნდა გადაეცათ მიწა და პირუტყვი
კოლექტიური მეურნეობებისთვის, ან გადასახლებაში დაღუპულიყვნენ.
მაგრამ ხალხი მაინც წინააღმდეგობას უწევდა.